ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №5849633

ნომერი: AR1886768

თარიღი : 14.03.2022

გაცემის თარიღი : 16.03.2022

გაცნობის თარიღი : 16.03.2022

შედეგი : შუალედური.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ქუჩა ცაიში , N 36ა;

დამკვეთი-განმცხადებელი

- ბადრი ბაგათელია პ/ნ 62006026453
- თბილისი ირ.აბაშიძის ქ. N 24 ბ. 26

ორგანიზაცია:

- შპს მარგე კოდი: 405269392

ნომენკლატურა :

- I კლასი
- 4 მ-მდე სიმაღლის მქონე ღობე დემონტაჟი
- 4 მ-მდე სიმაღლის მქონე ღობე ახალი მშენებლობა

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-5, 51-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, საქართველოს

სივრცის დაგეგმარების, არქიეტქტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსის, საქართველოს მთავრობის 2019 წლის 31 მაისის №255 დადგენილებით დამტკიცებული მშენებლობის ნებართვის გაცემისა და შენობა-ნაგებობის ექსპლუატაციაში მიღების წესის და პირობების, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის №39-18 დადგენილებით დამტკიცებული დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის №14-39 დადგენილებით დამტკიცებული ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების თანახმად.

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურმა განიხილა თქვენს მიერ ელექტრონულად ატვირთული დოკუმენტაცია და გაცნობებთ:

1. "არსებული სიტუაციის ფოტოსურათები -> ..ფოტოსურათების pdf ფაილი" - გზის მახრეს გადაღებულ არსებულ ფოტოზე კონტურის სახით მონიშნეთ თქვენი ტერიტორია. გარდა ამისა, ასევე წარმოადგინეთ ჭიშკრის შიგა მხარიდან გადაღებული ფოტოებიც და სხვადასხვა ხედის ამსახველი ფოტომასალაც, სადაც ხდება საპროექტო ღობის მოწყობა.

2. "ფოტომონტაჟი -> ..ფოტომონტაჟის pdf ფაილი" - წარმოდგენილი ფოტომონტაჟის მიხედვით ხდება არსებული მრიცხველების და აბრის გაუქმება, რაც დაუშვებელია. დაიტანეთ არსებული ყველა მრიცხველი და კაბელები, რაც არსებულ ფოტოზე ჩანს, ასევე ჭიშკრის მეორე მხარეს არსებული აბრაც, წინააღმდეგ შემთხვევაში წარმოადგინეთ ყველა იმ მესაკუთრის თანხმობა ვის საკუთრებაშიც არის მრიცხველები და აბრა.

3. "ფაილის მიმაგრება -> "ფაილი მიამაგრეთ სურვილის შემთხვევაში" - ღობე ზოგ ნაწილში სცდება საკადასტრო საზრვარს. გაითვალისწინეთ, რომ ღობე უნდა მოეწყოს მხოლოდ თქვენს საკადასტრო საზღვრებში, ფუნქციურ ზონებს შორის საზღვრის დაცვით, მხოლოდ სპეცზ-1-ის საზღვრებში, ტზ-1-ში ღობის მოწყობა დაუშვებელია (იხ დანართი). გაასწორეთ აღნიშნული.

4. ვინაიდან საპროექტო ღობის სიახლოვეს გადის ხაზოვანი ნაგებობები: 6-10 კვ. ელექტრო გადამცემი ხაზი (ს/კ 01.00.671; 01.01.402 მესაკუთრე: სს "თელასი") და საკომუნიკაციო ნაგებობა (ს/კ 01.00.336; მესაკუთრე: სს "სილქნეტი"), საჭიროა წარმოადგინოთ სს "თელასი"-ს დასს "სილქნეტი"-ს თანხმობები განსახორციელებელ სამუშაოებთან დაკავშირებით , როგორც წერილობითი, ისე დამოწმებული გრაფიკული მასალა (გენ-გეგმა) სახით.

5. წარმოსადგენია ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ-ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განთითარების სააგენტოს და საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტთან შეთანხმებული საგზაო მოძრაობის ორგანიზების სქემა საპროექტო ტერიტორიის სატრანსპორტო/საგზაო ინფრასტრუქტურის დატანით.

განგიმარტავთ, რომ ms.gov.ge-ზე დაემატა „საგზაო მოძრაობის ორგანიზების სქემის“ კატეგორია და საგზაო მოძრაობის ორგანიზების სქემის შეთანხმებისთვის უნდა მიმართოთ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს და განცხადება დაარეგისტრირით ms.gov.ge-ზე („საგზაო მოძრაობის ორგანიზების სქემის“ კატეგორიაში). ხოლო, სააგენტოს მიერ

შეთანხმებული სქემა უნდა შეათანხმოთ ქ. თბილისის საპატრულო პოლიციის მთავარ სამმართველოსთან. საბოლოო შეთანხმებული სქემები წერილებთან ერთად წარმოდგემილი იქნას არქიტექტურის სამსახურში.

თქვენ გეძლევათ 15 დღიანი ვადა მითითებული ხარვეზების გამოსასწორებლად. თუ დადგენილ ვადაში განმცხადებელი არ წარმოადგენს შესაბამის დოკუმენტაციას აღნიშნული განცხადება დარჩება განუხილველი

გაითვალისწინეთ, თქვენი მხრიდან კვლავ არასრულყოფილი და ხარვეზების შემცველი დოკუმენტაციის წარმოდგენის შემთხვევაში, აღნიშნული განცხადება დარჩება განუხილველი.

- დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.

- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.